საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №105/18

მოსამართლე … მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

… (მხარე) 2018 წლის 12 აპრილის №... საჩივრის საფუძველზე "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე … მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 06 აგვისტოს №105/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 12 თებერვალს … საქალაქო სასამართლოს … კოლეგიის მოსამართლემ, … გამოიტანა გადაწყვეტილება (№...), რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა … სარჩელი და მოპასუხეს, … დაეკისრა … ამერიკული დოლარის და სასამართლო ხარჯების გადახდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

გარდა ამისა, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მხარეებს არ ჩაბარებია (ასევე დაგვიანებით, 2018 წლის 22 თებერვალს, იქნა ჩაბარებული სააღსრულებო ფურცელი). სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმალურად გასაჩივრდა სააპელაციო წესით. თუმცა, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება, გადაწყვეტილების ჩაბარებამდე შეუძლებელია. შესაბამისად, არსებობს ეჭვი, რომ მოსამართლე მიკერძოებულია და განზრახ არიდებს თავს საკუთარი ვალდებულებების შესრულებას.

2. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

2.1 2017 წლის 17 მაისს … სარჩელით მიმართა … საქალაქო სასამართლოს …-ს მიმართ და მოითხოვა, ხელშეკრულების შეწყვეტა, მოპასუხისათვის … ამერიკული დოლარის დაკისრება და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხისათვის მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის და გასხვისების აკრძალვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ….

2017 წლის 18 მაისის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, რადგან წარდგენილი არ იყო უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. … ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 03 დღიანი ვადა.

2017 წლის 19 მაისს მოსარჩელემ აღმოფხვრა ხარვეზი და იმავე დღის განჩინებით, მოსამართლე … ნაწილობრივ დააკმაყოფილა … მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. აღნიშნული განჩინება მოპასუხეს გაეგზავნა 2017 წლის 29 მაისს.

2017 წლის 19 მაისის განჩინება მოპასუხემ გაასაჩივრა 2017 წლის 12 ივნისს. ხოლო 2017 წლის 16 ივნისის განცხადებით მოპასუხემ მოითხოვა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებების ჩანაცვლება საბანკო გარანტიით.

2017 წლის 16 ივნისს მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი.

2017 წლის 19 ივნისის განჩინებით, …-ს საჩივარი 2017 წლის 19 მაისის განჩინებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა წარმოებაში (მოსამართლე …). სასამართლომ განიხილა აღნიშნული საჩივარი და 2017 წლის 06 ივლისის განჩინებით მიიღო გადაწყვეტილება გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე.

2017 წლის 17 ივლისს … გაასაჩივრა 2017 წლის 06 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ. 2017 წლის 03 აგვისტოს განჩინებით აღნიშნული საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში (მოსამართლე …), ხოლო 2017 წლის 14 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე …) მოსარჩელეს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე.

2017 წლის 04 აგვისტოს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ….

2017 წლის 28 სექტემბერს … დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. 2017 წლის 02 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა დაზუსტებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

2017 წლის 02 ოქტომბერს მოსამართლე … თანაშემწემ წერილით მიმართა … სააპელაციო სასამართლოს … პალატას და ითხოვა, განსახილველი საქმის … საქალაქო სასამართლოსათვის დაბრუნება.

2017 წლის 16 ოქტომბერს … კიდევ ერთი დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. აღნიშნული სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. 2017 წლის 14 ნოემბერს მოპასუხემ დაზუსტებულ სარჩელზე წარადგინა შესაგებელი.

ამის შემდეგ, საქმეზე ჩატარდა 06 სასამართლო სხდომა (2017 წელი: 14 და 29 ნოემბერი, 13 დეკემბერი, 27 დეკემბერი; 2018 წელი: 24 იანვარი და 12 თებერვალი), ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა … სარჩელი (…-ს … სასარგებლოდ დაეკისრა 217 000 აშშ დოლარის გადახდა), მოსამართლე … მიიღო 2018 წლის 12 თებერვალს. იმავე დღეს მიღებულ იქნა ასევე განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

2018 წლის 12 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე … და მისთვის 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის ჩაბარება მოითხოვა.

2018 წლის 19 თებერვალს მიღებული სააღსრულებო ფურცელი (… 2018 წლის 19 თებერვლის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად) მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 20 თებერვალს.

2018 წლის 13 მარტს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მოსამართლე … და მისთვის 2018 წლის 12 თებერვლის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება მოითხოვა.

2018 წლის 22 მარტს … სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება (დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარებული არ ქონდა).

2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 09 მაისს.

2.2. 2017 წლის მეორე ნახევრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე … განსახილველად გადაცემული ქონდა 381 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 83 საქმის განხილვა (21.8%); 25 განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომელთაგანაც დაასრულა 23 საქმის განხილვა (92%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ

გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე" („მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება") ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შესაბამის ნორმებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია."

3.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჩააბარა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის

მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს, მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ ასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის ვალდებულების დარღვევას. მოსამართლე … გადაწყვეტილება გამოაცხადა 2018 წლის 12 თებერვალს. მოსარჩელის წარმომადგენელმა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2018 წლის 13 მარტს, კანონის მოთხოვნის სრული დაცვით (20-დან 30 დღემდე ვადაში). დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 09 მაისს. შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადა დარღვეულია 02 თვემდე ვადით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება 2018 წლის 22 მარტს გასაჩივრდა სააპელაციო წესით. შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის დაგვიანებით ჩაბარებას არ გამოუწვევია მოსარჩელის ან მოწინააღმდეგე მხარის საპროცესო უფლების შელახვა/შეზღუდვა. იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე … საქმის განხილვის პერიოდში განსახილველად გადაცემული ქონდა 381 საქმე, ასევე, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების ვადა დარღვეულია 02 თვემდე, რაც არ წარმოადგენს ხსენებული ვადის დარღვევის არაგონივრულ ვადას, მოსამართლე … ქმედება არ შეიცავს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე" („მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება") ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

3.2. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლე … განზრახ, დაგვიანებით გადასცა მხარეს სააღსრულებო ფურცელი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2018 წლის 19 თებერვალს მიღებული სააღსრულებო ფურცელი (… 2018 წლის 19 თებერვლის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად) მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 20 თებერვალს. შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის მხარისათვის გადაცემა მოხდა კანონის სრული დაცვით და მოსამართლის ეს ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 13 წევრიდან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე … მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №105/18, მოსამართლე … მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი